არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის 2025-26 სასწავლო წლის აქტივობები

- **2025 წლის 18 სექტემბერი**

UIA-ს მეორე რეგიონის ქვეყნების არქიტექტორთა კავშირის პრეზიდენტების შეკრებისადმი მიძღვნილი მაგისტრანტების ნაშრომების გამოფენა.

მონაწილეები: ბერძნიშვილი რუსუდან, დავითაშვილი ნინი, პატარკაციშვილი ნინი, ბიძინაშვილი გიგი, მჭედლიშვილი უჩა, მირიანაშვილი მარი, ნოზაძე ნათია, კვანტალიანი ჯანსუღი, ჯახაია მარიამ, კოპალეიშვილი ნინი.



- **2025 წლის 1 ოქტომბერი**

Share Architects -ის (ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში არქიტექტორებისა და კონსტრუქტორებისთვის ღონისძიებების მომწყობი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ორგანიზაცია) ფარგლებში მოწვეულმა არქიტექტორებმა სლოვენიიდან: ტორნაზ კრისტოფმა და გრეგორ რეიხენბერგმა წაიკითხეს ლექცია „ Faux Pas”.

- **2025 წლის 27 ოქტომბერი**

ჩვენი ფაკულტეტის ფოიეში მოეწყო ახალგაზრდა ხელოვანთა კონკურსის „ღანი - სიყვარული, განღმრთობის გზა“ გამარჯვებულთა და მონაწილეთა ნამუშევრების გამოფენა.

- ✓ პირველი ადგილი - ლუკა შავაძე;
- ✓ მეორე ადგილი - ჯგუფი „ველელი“ – თეონა კესარელი, ალიოშა კაპანაძე;
- ✓ მესამე ადგილი - ჯგუფი „სკამი/s_k_ami“ – დავით ჯანგულაშვილი, გიორგი ზაქარაშვილი, რეზი ბუბუტეიშვილი.

- **2025 წლის 30-31 ოქტომბერი**

ქ. თბილისში, სასტუმრო „სტამბის“ საკონფერენციო დარბაზში საქართველოს განათლების სამინისტროსა და ევროპის თვინინგის პროექტის მიერ ერთობლივად ჩატარდა —„Beautiful Transformation of Georgia through Architecture and Design – A NEB Perspective“ ღონისძიება, ჰიბრიდულ ფორმატში

ღონისძიების დღის წესრიგში შედიოდა:

პანელოვანი დისკუსია - სადაც გამოდიოდნენ სიტყვით ფაკულტეტის პროფესორები დავით ბოსტანაშვილი, ნინო ჩაჩავა და დოქტორანტი, არქიტექტორი ნიკოლოზ ლეკვეიშვილი.

ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი ნინო იმნაძე იყო მოდერატორი.

- **2025 წლის 5 ნოემბერი**

ფაკულტეტზე ვიზით იმყოფებოდა Erasmus+ პროგრამის ფარგლებში, საბერძნეთის, დასავლეთ ატიკის უნივერსიტეტის პროფესორი ათანასე ილიოდრომიტისი.

პროფესორმა წაიკითხა ლექცია თემაზე:

„ კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისა და ზუსტი დოკუმენტირების კომბინირებული მეთოდები “.

გაიმართა პოლემიკა პროფესორ მასწავლებლებთან და სტუდენტებთან კითხვა პასუხის რეჟიმში.

- **2025 წლის 5 ნოემბერი**

ფაკულტეტზე, სასწავლო კურსის „არქიტექტურული დაპროექტება 4“ ფარგლებში ლექცია წაიკითხა „41 დადგენილების” სპეციალისტმა ვილანა გელაშვილმა. ლექცია-სემინარის ფარგლებში მოსმენილ იქნა 41 დადგენილების საწყისი მონაცემები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტირებისათვის, ასევე სახანძრო უსაფრთხოების გასათვალისწინებელ ღონისძიებებს.

- **2025 წლის 11 ნოემბერი**

სტუ-ის ყველაზე მაღალრეიტინგულმა სტუდენტებმა თამაზ ბექაიას საგანმანათლებლო ფონდის პრემია და სტიპენდიები მოიპოვეს. ნ. ნიკოლაძის დარბაზში დააჯილდოვეს ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტები:

1. მაგისტრი უჩა მჭედლიშვილი
2. პირველკურსელი ბაკალავრი ლიკა მარია შუბითიძე

- **2025 წლის 15 ნოემბერი**

პროფ. ნ. ჩაჩავას ორგანიზებით მოეწყო ვორქშოპი ZERONE-ის საინჟინრო კომპანიაში 62308 ჯგუფის სტუდენტებისათვის, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ფაკულტეტის პროფესორებმა: თ. ჩიგოგიძემ, ბ. თინიკაშვილმა და დ. ბოსტანაშვილმა.

მდგრადი საინჟინრო ინფრასტრუქტურის მქონე ურბანული ინფრასტრუქტურის დანერგვაზე, რაც საქართველოში საზოგადოების საცხოვრებელი პირობებისა და მუნიციპალური გარემოს ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება.

ვორქშოპის ლოკაცია - Zaha Hadid Architects-ის პროექტის - CitiZen ის საცხოვრებელი კომპლექსის სამშენებლო მოედანი.

- **2025 წლის 18 ნოემბერი**

ფაკულტეტის ურბანული ეკოლოგიის ცენტრში შედგა შეხვედრა კარშის (უზბეკეთი) სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტთან (https://kstu.uz/public/en) თანამშრომლობის ფორმატში დოქტორ ზაფარ უზაკოვთან, ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის დეპარტამენტის უფროსთან და დოქტორ ფურკატ ბობომურადოვთან, ჰიდრავლიკისა და საინჟინრო ნაგებობების მშენებლობის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორთან.

მოეწყო პირდაპირი ჩართვა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლების და დოქტორანტების და კარშის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის ეკოლოგიის დეპარტამენტის პროფესორებთან და სტუდენტებთან გარემოს დაცვითი პრობლემების თემაზე.

- **2025 წლის 27-30 ნოემბერი**

ჰონგ-კონგის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის (PolyU), მოდისა და ტექსტილის სკოლის, კონფუცის ინსტიტუტისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ ჩატარდა ერთობლივად ორგანიზებული ჩინური კულტურის ფესტივალის ფლაგმანური ღონისძიება - „ერთიანობის ძაფები: ერთი სარტყელი და გზა“ - გალა მოდის (“Threads of Unity: Belt and Road Fashion Gala”).

აღნიშნული ღონისძიებისთვის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მიერ წარმოდგენილი, ნაციონალურ მოტივებზე შესრულებული 5000 ნამუშევრიდან კონკურსის წესით შეირჩა 32, მათ შორის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“-ს საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის მედეა შელიას პროექტი.

- **2025 წლის 6 დეკემბერი**

ეკოლოგიის ცენტრისა და კომპანია „ზერონეს“ ინიციატივით ორგანიზებული ვორქშოპის ფარგლებში მონაწილე ფაკულტეტის სტუდენტებმა მოისმინეს ლექცია თემაზე:

„პროექტის მენეჯმენტისა და კონტრაქტების პრაქტიკაში გამოყენების საკითხები.“

შემდგომ ეტაპზე, კომპანია „ზერონეს“ ხელმძღვანელობამ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლებს დაათვალიერებინა ბორჯომის მინერალური წყლის №1 ქარხნის სრული საწარმოო კომპლექსი, სადაც დეტალურად იქნა განხილული საწარმოო სივრცის არქიტექტურული და საინჟინრო თავისებურებები. https://youtu.be/Be6Lo9WCMHM

- **2025 წლის 16 დეკემბერი**

ეკოლოგიის ცენტრის ინიციატივით ფაკულტეტზე მოწვეული იყო გარემოს დაცვის ექსპერტი ნიკო ყარსიმაშვილი. მან წაიკითხა ლექცია თემაზე:

„ურბანული მწვანე სივრცეების დაგეგმარება და მართვა — მდგრადი მიდგომების გამოყენება თბილისში განხორციელებული პროექტების მაგალითზე.“

ფაკულტეტს საჩუქრად გადაეცა წიგნი „ურბანული მეტყევეობა“, რომელიც ეხება ურბანული მწვანე სივრცეების დაგეგმარებასა მართვას.



1. 26.01.2026 - BIM Solutions Georgia-სა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის გაფორმდა სტრატეგიული თანამშრომლობის მემორანდუმი BIM განათლების განვითარების მიზნით უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის. თანამშრომლობა მიზნად ისახავს საქართველოში BIM ტექნოლოგიების საფუძველზე განათლების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას და ყველა საჭირო პროგრამული უზრუნველყოფების სწავლებას, მომავალი ინჟინრებისა და არქიტექტორების თანამედროვე ციფრული უნარებით აღჭურვას. ეს არის უდიდესი ნაბიჯი ინფრასტრუქტურის სფეროს მხარდაჭერისთვის.

2. 16.02.2026 - სტუ-ის სტუდენტებმა „Corso Italia“-ს ახალი თაობის მაღაზიის ინტერიერის კონცეფცია შეიმუშავეს.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ინტერიერის დიზაინის მიმართულებით გამოცხადებული კონკურსის - „Corso Italia - Next Gen“ გამარჯვებული ორი პროექტი გამოავლინეს. საუკეთესოდ აღიარებული პროექტები შესრულებულია ორ-ორი სტუდენტის ავტორობით; თეა ჯელაძე და გიორგი ჭანიძე; ლალი სალუქვაძე და გუგა ნაცვლიშვილი.

3. 2026 წლის 17 მარტს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ფოიეში მოეწყო სასწავლო კურსის ფორმა სივრცეში სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა.
პედაგოგები: ქეთევან გაგოშიძე, ლია კერვალიშვილი, გია ამირანაშვილი, ბექა ჩხაიძე.

4. ERASMUS+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში 18 მარტს ფაკულტეტმა უმასპინძლა ოსტრავას ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ოფისის თანამშრომელს მარსელა მატუროვას, ასისტენტ პროფესორ მიროსლავ როსმანიტს და შრომის უსაფრთხოების ფაკულტეტის პროექტ-მენეჯერს ბარბარა დვორაკოვას. ამჟამად გაცვლითი პროგრამის ფარგლებში არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის

ფაკულტეტის ბაკალავრიატის რვა სტუდენტი სწავლობს აღნიშნულ ფაკულტეტზე, არქიტექტურის დეპარტამენტში.

5. ERASMUS+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, 20-26 მარტის პერიოდში, ასოცირებულმა პროფესორმა დავით ბოსტანაშვილმა მალტის უნივერსიტეტში ჩაატარა ლექციების ციკლი არქიტექტურის პოეტიკის შესახებ. მან ლექციები გარემოს დიზაინის ფაკულტეტის (Faculty for the Built Environment) არქიტექტურის ისტორიის დეპარტამენტის მოწვევით გამართა. წაკითხული ლექციები ეხებოდა „არქიტექტურის პოეტიკის“ ძირითადი შინაარსის წარდგენას. ლექციების თემატიკა მოიცავდა საგანში შესავალს და არქიტექტურის პოეტიკის ისტორიას ტექნიკურ უნივერსიტეტში; არქიტექტურის პოეტიკის ძირითად კონცეპტუალურ ჩარჩოს განხილვას.

6. ERASMUS+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში 30 მარტიდან 3 აპრილამდე პერიოდში ფაკულტეტმა უმასპინძლა მალტის უნივერსიტეტის პროფესორს ლინო ბიანკოს. მან წაიკითხა სხვადასხვა თემატიკის ლექციები, რომელიც მოიცავდა საკითხებს რომაელი არქიტექტორისა და ავტორის, ვიტრუვიუსის ნაშრომებიდან დაწყებული, არქიტექტურული ღირებულებებითა და უნივერსალური დიზაინით დასრულებული. სესიებს აქტიურად ესწრებოდნენ არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტები.

[მალტის უნივერსიტეტის პროფესორმა სტუდენტებს ლექციათა ციკლი ჩაუტარა - GTU.ge]

7. 3 აპრილს საერთაშორისო მობილობის პროექტში გაცვლით პროგრამაში მონაწილეობასთან დაკავშირებით სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის აქტიურობის ასამაღლებლად ფაკულტეტზე ჩატარდა საკონსულტაციო შეხვედრა ERASMUS+ საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის თანამშრომელთან ნ. ჟიჟილაშვილთან.

8. 3 აპრილს არქიტექტურის, ურბანისტიკისა სა დიზაინის ფაკულტეტის პროფესორებმა: ნ. ხვედელიანმა, თ. ჩიგოგიძემ, ნ. ხაბეიშვილმა, ნ. იმნაძემ და ნ. ჩაჩავამ მონაწილეობა მიიღეს BIM Solutions Georgia Community Day-ზე, რომელმაც გააერთიანა საქართველოს AEC ინდუსტრიის შერჩეული პროფესიონალები.
ღონისძიება წარმოადგენდა პროფესიულ პლატფორმას, რომლის მიზანია რეალური გამოცდილების, პრაქტიკული ინსაიტების, BIM კოლაბორაციისა და ციფრული პროექტის მართვის თანამედროვე მიდგომების გაზიარება, ასევე

მაღალი ღირებულების პროფესიული ურთიერთობების გაღრმავება. პანელურ დისკუსიაში მონაწილებდა ფაკულტეტის მოწვეული მასწავლებელი პ. სახანბერიძე.

9. 30 აპრილს სტუ-ის გალერეა „უნივერსმა“ არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის პირველკურსელთა გამოფენას უმასპინძლა.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის პირველი კურსის სტუდენტების ნამუშევრების გამოფენა – „მოცულობითი სივრცითი კომპოზიცია“ – გაიხსნა.

ექსპოზიციამ, რომელსაც საუნივერსიტეტო გალერეა „უნივერსმა“ უმასპინძლა, 80 სტუდენტის სივრცული ნამუშევრები გააერთიანა. გამოფენა არქიტექტურული კომპოზიციის სასწავლო კურსის ფარგლებში მოეწყო, საუკეთესო სტუდენტური ნამუშევრები კი შიდა საფაკულტეტო კონკურსის საფუძველზე შეირჩა.

[სტუ-ის გალერეა „უნივერსმა“ არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის პირველკურსელთა გამოფენას უმასპინძლა - GTU.ge]

10. 06 მაისი - სტუ-ის სტუდენტები თამაზ ბექაიას საგანმანათლებლო ფონდის სტიპენდიანტები გახდნენ, მათ შორის ჩვენი ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი გურამ ნაცვლიშვილი.

„უნივერსიტეტისთვის განსაკუთრებით ფასეულია ნიჭიერი, შრომისმოყვარე და მიზანდასახული სტუდენტების მხარდაჭერა, მათი მოტივაციის გაძლიერება, მათი შემეცნების სურვილისა და პროფესიონალიზმისკენ სწრაფვის ხელშეწყობა. ეს ამხნევებს სხვა ახალგაზრდებსაც და აძლევს რწმენას, რომ მათი შრომაც აუცილებლად დაფასდება. მსგავსი მიდგომა კი საქართველოს მდგრადი მომავლისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია“, – ამის შესახებ საქართველოს

ტექნიკური უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა, პროფესორმა თამარ წერეთელმა თამაზ ბექაიას საგანმანათლებლო ფონდის საიუბილეო ღონისძიებაზე განაცხადა, რომელზეც ფონდის პარტნიორი სახელმწიფო უნივერსიტეტების მაღალრეიტინგულ სტუდენტებს სტიპენდიები გადაეცათ.

[სტუ-ის სტუდენტები თამაზ ბექაიას საგანმანათლებლო ფონდის სტიპენდიანტები გახდნენ - GTU.ge]

როგორც გამოფენის გახსნაზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანმა აღნიშნა, ყოველწლიური სტუდენტური გამოფენა მომავალ არქიტექტორებს, მათ პედაგოგებსა და სამშენებლო-დეველოპერული ინდუსტრიის წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობას უწყობს ხელს.

11. 08 მაისს არქიტექტურული კომპანია „სპექტრუმის“ მიერ ორგანიზებულ პირველ ეროვნულ სტუდენტურ არქიტექტურულ კონკურსში სამ გამარჯვებულ სტუდენტთა შორის არიან ჩვენი ფაკულტეტის ორი სტუდენტი ტეფნაძე ლელა და შველიძე ნინო.

12. 15 მაისი. I კურსის სტუდენტების ნამუშევრების გამოფენა ფაკულტეტის ფოიეში

13. ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტმა ნინო შველიძე-მ „სტუდფესტი“-ს ფერწერის კონკურსში III ადგილი დაიკავა. კონკურსში 17 უნივერსიტეტის სტუდენტები მონაწილეობდნენ.

14. 30 ივნისი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე, საქართველოს გაქრისტიანების 1700 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „ქართული სასულიერო არქიტექტურა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ გაიმართა. კონფერენციის მიზანი იყო ქართული სასულიერო არქიტექტურის ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის წარმოჩენა, მისი დაცვისა და თანამედროვე ურბანულ გარემოში ინტეგრაციის საკითხების განხილვა, ასევე დარგის მეცნიერებს, მკვლევრებსა და ახალგაზრდა სპეციალისტებს შორის სამეცნიერო თანამშრომლობის გაღრმავება.